# საახალწლოდ მოსულმა თოვლმა გურულებს ბევრი პრობლემაც მოუტანა



„ალიონი“. ახალ წელს მოსულმა თოვლმა გურულებს ახალ წელთან ერთად პრობლემები მოუტანა. რეგიონის ბევრი სოფელი 2016 წელს სიბნელეში შეხვდა. უხვმა ნალექმა ბევრ ადგილას დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები და თავსატეხი გაუჩინა ენერგეტიკოსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, შესაბამისი სამსახურების უფროსები, ენერგეტიკოსებთან ერთად ზრუნავდნენ დაზიანებების აღსადგენად. უშუქობის გამო რედაქციაში იყო ზარები დაბა ურეკიდან, სოფელ მთისპირიდან, ასკანიდან და ა.შ. ენერგეტიკოსებმა შეძლეს სოფელ ძიმითსა და მთისპირში მაღალი ძაბვის ხაზების აღდგენა. მუნიციპალიტეტებთან მოქმედი საგანგებო შტაბები ხელმძღვანელობენ გზების გაწმენდის სამუშაოებს, სხვა პრობლემებს.

# სასახელო კაცი გაზრდილიყოს!!!



ალიონი. 4 იანვარს, როცა საქართველო პატრიარქის დაბადების დღეს დღესასწაულობდა, ოზურგეთში, „მედალფას“ კლინიკაში, საკეისრო კვეთით, ქვეყანას მოევლინა ერეკლე სალუქვაძე. ამ პერიოდში, საბედნიეროდ, სხვა ახალი მოქალაქეებიც გაჩნდნენ, მაგრამ მათგან ერეკლე იმით გამოირჩევა, რომ თანატოლებში გოლიათია. ახალშობილი 5. 600 კგ-ს იწონის, მისი სიმაღლე 55 სანტიმეტრია.

„მედალფას“ დირექტორის დავით მდინარაძის თქმით, ახალშობილი და დედა თავს კარგად გრძნობენ.

რამდენიმე დღეში იმედაშვილის ქუჩის №35-ში მცხოვრები კახა და თეა სალუქვაძეების სტუმართმოყვარე ოჯახში ყველაზე ბედნიერი დღესასწაული – ძეობა აღინიშნება.

ვულოცავთ, სასახელო კაცი გაზრდილიყოს!!!


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №1 (10142), 7 იანვარი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


# ხანძარი ბაილეთში

ალიონი. 2016 წლის 1 იანვარს, გამთენიისას ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით ხანძარი გაუჩნდა ზაზა ებრალიძის (სოფ. ბაილეთი, ზაქარიაძეების უბანი) ორსართულიან სახლს. ხანძარმა მთლიანად გაანადგურა ორსართულიანი სახლი, დაიწვა ავტოფარეხში მსუბუქი ავტომანქანა და წლის მოსავალი– 2,5 ტონა თხილი.

უსახლკაროდ დარჩა 5-სულიანი ოჯახი 2 მცირეწლოვანი ბავშვით. ზაზას დედამ, 70 წლის ასია ებრალიძემ მძიმე დამწვრობა მიიღო და ქ. თბილისში, რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ჯერჯერობით უცნობია, რა სახის დახმარებას გაუწევს ებრალიძეების ოჯახს ადგილობრივი ხელისუფლება.

# ქალაქის ბიუჯეტი დამტკიცდა

ალიონი. მიუხედავად იმისა, რომ წინასაახალწლო დღეები იყო, 30 დეკემბერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელმაც მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა, მწვავე და ხმაურიანი იყო.



ბიუჯეტის პროექტი ქალაქ ოზურგეთის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მარიკა ნაცვალაძემ წარმოადგინა.

შრომის ანაზღაუარების თემაზე პირველი შენიშვნა ლეიბორისტმა დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ გააკეთა. მისი აზრით შრომის ანაზღაურება გაზრდილია და არ არის შიგნით გამოყოფილი გასაცემი პრემიების ოდენობა.

–2016 წლის ბიუჯეტში 548 600 ლარი მოკლებულია შრომის ანაზღაურების ხარჯს. 2016 წლის ბიუჯეტში ჩადებულია მხოლოდ ერთი თვის პრემია –98 ათასი ლარი, მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონი პრემიის 4-ჯერ გაცემის უფლებას იძლევა –უპასუხა მარიკა ნაცვალაძემ.

▶▶▶ გვ-2



ჩემო ოზურგეთელებო!

გილოცავთ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, ქართული ოცნების უცილობელ შესრულებას.

2016 წელი მნიშვნელოვანი ყოფილიყოს ქვეყნის წინსვლის საქმეში.

**გიორგი ღურჯუმელიძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.



ძვირფასო ოზურგეთელებო!

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, შვილთა სიმრავლეს, ხვავსა და ბარაქას.

უფლის მადლით გაბრწყინებულ და ძლიერ საქართველოში გვეცხოვროს!

**ნინო გოგუაძე,**
ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



ჩემო გურულებო!

ყველას გილოცავთ 2016 წელს სიკეთის ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენი ოჯახებისათვის. განსაკუთრებით მათთვის, ვინც ახლა ახალ წელს ავღანეთში ხვდებიან მშვიდობით დაბრუნებას ვუსურვებ თავიანთ ოჯახებში

**ბესიკ მელუა,**
ქალაქ ოზურგეთის მერიის აპარატის უფროსი

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე «ალიონით»

# გაზეთი „ალიონი“ 85 წლისაა

ოზურგეთში პირველი პერიოდული ნაბეჭდი გაზეთი გამოვიდა 1918 წლის 7 ივლისს – ეწოდა **„გურიის ხმა“**(იყო ყოველკვირეული, ოთხგვერდიანი გაზეთი)—გურიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ორგანო. დაარსდა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებიდან თვენახევრის შემდეგ (რედაქტორი მდუდუჩავა, ახალგაზრდა მარქსისტთა ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი).

1920 წლის 1 მაისს გამოვიდა გაზეთი **„გურიის ერობის მოამბე“** (ყოველკვირეული, შემდეგ ორკვირეული. იბეჭდებოდა ა. კალატოზიშვილის სტამბაში)-სარედაქციო კოლეგია.

1921 წლის დასაწყისში —გამოდიოდა სამაზრო ერობის ორგანო „გურიის ხმა“ (სამდღიური, ორგვერდიანი გაზეთი) —სარედაქციო კოლეგია. ოზურგეთში საბჭოთა პერიოდის პირველი ნაბეჭდი გაზეთი იყო **„განახლებული გურია“**(ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია) —საქ.კპ გურიის კომიტეტისა და რევკომის ორგანო. პირველ ხანებში 8-გვერდიანი იყო. გამოვიდა 1921 წლის 14 ოქტომბერს.


აფთონ გურგენიძე

1922 წელს ოზურგეთში გამოიცა საქ. კპ გურიის კომიტეტის გაზეთი **„გურიის კომუნარი.**“აგრეთვე, რაიონული გაზეთის გარდა 1922 -1923 წლებში —ერთდროული ლიტერატურული გაზეთი **„პოეზიის დღე,“** 1924 წელს —ლიტერატურული ჟურნალი **„ჩვენი არგონავტი“** (ამ გამოცემებში და შემდეგაც გამოცემებში (ლიტ. ალმანახები და სხვ.) მონაწილეობდა პედაგოგი და მწერალი **ვანო სალუქვაძე** (ფსევდონიმი —სერელი, ბინდელი), შემდგომში —გაზ. „ლენინის დროშის“ რედაქციის წევრი—ლიტ. მუშაკი, პას. დივანი... (უპარტიო იყო), ლიტჟურნალებისა და გაზეთების გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი (სხვებთან ერთად).


მარცხნიდან: ბორის შეწირული, ამროსი სალუქვაძე, აკაკი მჟავანაძე. 1946 წ.

1931 წლის 5 იანვარს გამოვიდა ოზურგეთის რაიონული გაზეთი **„ლენინის დროშა“** (ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1990 წლის მარტამდე). 1962-65 წლებში იგი იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს რეგიონალური გაზეთი. რედაქტორები სხვადასხვა წლებში (თანმიმდევრობით) იყვნენ: **დავით არობელიძე, აკაკი გოცირიძე, ანდრო კირცხალია, ივლიანე ძიძიგური, ვასილ ლომინაძე, მოსე ტულუში, ლეონიდე მახარაძე, ამბროსი სალუქვაძე, ივანე გოგუაძე, ვახტანგ ჯაყელი, აფთონ გურგენიძე, თამაზ სალუქვაძე...** რედაქტორის მოვალეობას დროებით ასრულებდნენ: **ალექსანდრე მგელაძე, თეო აბაშმაძე, ივანე უჯმაჯურიძე, არკადი ზაქარიაძე**. 1990 წლის 22 მარტიდან გაზეთს ეწოდა **„გურია.**“(ამ სახელწოდებით გამოვიდა გაზეთის სულ 5 ნომერი (5 აპრილამდე). ხოლო 1990 წლის 5 აპრილს გაზეთს ეწოდა **„ალიონი.“**

„ალიონი“1990 წლის 6 ოქტომბრიდან 1991 წლის 30 მარტამდე იყო ჯერ ოზურგეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს, შემდეგ აღმასკომის ორგანო;

1991 წლის 2 აპრილიდან 8 აგვისტომდე— ოზურგეთის რაიონული (დამოუკიდებელი) გაზეთი;


თამაზ სალუქვაძე

1990 წლის 10 აგვისტოდან 1992 წლის 4 იანვრამდე—ოზურგეთის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო;

1992 წლის 9 იანვრიდან 4 აპრილამდე —ოზურგეთის რაიონული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი;

1992 წლის 8 აპრილიდან 25 აპრილამდე— ოზურგეთის რაიონული თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი;

1992 წლის 2 მაისიდან 1993 წლის 18 დეკემბრამდე—ოზურგეთის რაიონული დამოუკიდებელი გაზეთი;

1992 წლის 28 დეკემბრიდან „ალიონს “ ეწოდა ოზურგეთის რაიონული გაზეთი.

იგი, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ალიონის“ სახელწოდებით გამოდის ამჟამადაც.

* * *

გასული საუკუნის 90-იან წლებში ოზურგეთში რამდენიმე გაზეთი დაარსდა. მათ შორის ყველაზე დიდი ტირაჟით გამოდიოდა ოზურგეთის ჟურნალისტთა პრესკლუბის გაზეთი **„თვალსაწიერი“** (რედაქტორი ნინო გოგუაძე); 1989 წელს დაარსდა ოზურგეთის სახალხო ფრონტის გაზეთი **„ოზურგეთის მოამბე“**(კ. ბერიძე, გ. თავაძე, ნ. ასათიანი, მ. ზაქარიაძე) გამოვიდა რამდენიმე ნომერი. 1990-93 წლებში ნინო თოიძის საზოგადოება უშვებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბიულეტენს **„ლეხოური,“** (რედაქტორები გ. ჭელიძე, ნ. ასათიანი); გამოვიდა გაზეთ **„ანაზზინის**“(რედაქტორი თ. ხარაიშვილი) რამდენიმე ნომერი. თამაზ ხარაიშვილის რედაქტორობით გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ **„მარიოტას“** 2 ნომერი, ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის რეგიონალური ორგანიზაცია უშვებდა ლიტერატურულ ბიულეტენს **„გუბაზეული.“** (რედაქტორები გ. ჭელიძე, ნ. ასათიანი). მომდევნო წლებში ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბმა გაზეთ **„ინფო გურიას“** რამდენიმე ნომერი გამოუშვა, ხოლო ჟურნალისტმა ეთერ ქადეიშვილმა გაზეთი **„საჩინო“** დააარსა. ამავე პერიოდში გამოდიოდა გაზეთი „**TV გურიას**“ 6 ნომერი; გაზეთი **„კაპილონი“.** 2005 წელს გამოვიდა გაზეთ **„მარიოტას“** 2 ნომერი (რედ. ნინო ნიკოლაიშვილი)

ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოება **„გურიის მთები“** ამავე სახელწოდების გაზეთს უშვებდა.

ამჟამად ოზურგეთში გამოდის გაზეთები: **„ალიონი“, „გურიანიუსი“, გურიის მოამბე“, „თეთრი მანდილი“.**

# ქალაქის ბიუჯეტი დამტკიცდა

—თუ თქვენ არ გინდათ პრემიის აღება, ნუ აიღებთ, მაგრამ ჩვენ ნუ შეგვზღუდავ – მიმართა შარაშენიძეს დეპუტატმა **ნინო ტაბატაძემ.**

ბიუჯეტის გარშემო თავისი შენიშვნები დეპუტატმა **გოჩა ძიმისტარიშვილმაც** დააფიქსირა.

მან სამი კითხვა დასვა:

1. 60 ათასი ლარი, რომელიც ეკლესიას გადაეცემა, რას მოხმარდება?

2. რატომ გაეზარდა ოზურგეთის სახელმწიფო თეტარს დაფინანსება და იგი 350 ათას ლარს შეადგენს. რატომ არ აფინანსებს თეატრს კულტურის სამინისტრო?

3. რატომ აფინანსებენ ფოლკლორის ცენტრს 41,5 ათასი ლარით?

ძიმისტარიშვილს ყველა დასმულ კითხვაზე გაეცა პასუხი.

დეპუტატმა **ლევან მგელაძემ** ვეტერანების თხოვნა გადასცა საკრებულოს და 14 ვეტერანისთვის კომუნალური ხარჯების დაფინანსება ითხოვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ლავრენტი ბიგვავამ** კომიიის შენიშვნები წარმოადგინა, სადაც სხვა შენიშვნებს შორის აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა 1 მარტს იწყება და მერიის არც ერთ სამსახურს მათთან თავიანთი პრიორიტეტები არ ჰქონდათ წარმოდგენილი. ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს არცერთ ფრაქციას ბიუჯეტზე თავისი მოსაზრებები არ წარმოუდგენია.

კვლავ ითხოვა სიტყვა გოჩა ძიმისტარიშვილმა, რომლის კრიტიკის ობიექტი ამჟამად კულტურის სამსახურის დაფინანსება იყო.

—კულტურის სფეროს დაფინანსება გაზრდილია და იგი 350 ათას ლარს შეადგენს. ეს არის საარჩევნო წელზე მორგებული ბიუჯეტი. ქალაქის მერიაში არის 70 კაცი, როდესაც 20-25 ადამიანია საჭირო. მუნიციპალიტეტში სპეციალიტებს აქვთ დაბალი ხელფასები -აღნიშნა მან, ხოლო ნათია შარაშენიძემ თქვა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წინა წლის დასკვნა წყლის წვეთივით ჰგავდა ამჟამინდელ დასკვნას.

კენჭისყრით 2016 წლის ბიუჯეტს დამსწრე 13 დეპუტატიდან 9 დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

შემდეგ ქალაქ ოზურგეთის მერმა **ბეგი სიორიძემ** ნათია შარაშენიძის ბრალდების გამო, (რომ მერმა დეპუტატს თითქოსდა ზურგში ქაღალდის სანიშნი ესროლა), განცხადება გააკეთა და ამ ბრალდებებს მიზანმიმართული ცილისწამნება უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ღია და საჯარო მუშაობისთვის სპეციალური სიგელი გადაეცა.

—ქალაქი ოზურგეთი დატერორებული ჰყავს ბეგი სიორიძეს. იგი თანამშრომლებსაც ატერორებს. სამუშაო საათებში სიკვდილით დამემუქრა საკრებულოს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირინა საჯაია-განაცხადა შარაშენიძემ.

– ერთმანეთზე ვაჩხუბოთ– გაიხუმრა დეპუტატმა **ლევან თოიძემ.**

სხდომაზე დასწრე ქალაქის მერის თანაშემწე **მზევინარ სალუქვაძემ** განაცხადა:

—შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს. თანამშრომლებს ცილი დაგვწამა, თითქოს მერს დატერორებული ჰყავს ოზურგეთი და მერიის თანამშრომლები. პირიქით, ძალიან მშვიდ, მოწესრიგებულ გარემოში ვმუშაობთ.

ბატონი ბეგისაგან არც ერთ თანამშრომელს არ ახსოვს ხმამაღალი, უტაქტო მიმართვა. პირიქით, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელია.

თუ საჭირო იქნება, ნებისმიერი ჩვენი თანამშრომელი ითანამშრომლებს საკრებულოს ეთიკის კომისიასთან, რათა გაირკვეს, ვინ არის ბეგი სიორიზე და მისი თანამშრომლები.



## ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### დადგენილება 56

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1. დამტკიცდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი თანახმად დანართისა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:
**გელა კობალაძე**

**ბიუჯეტი იხილეთ მე-3-14 გვერდებზე**

# თავი I
# ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

## მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9841,1 | 12308.1 | 4315.1 | 7993.0 | 9156.2 | 1273,2 | 7883.0 |
| გადასახადები | 527,1 | 425.0 | 0,0 | 425,0 | 1780.0 | 0,0 | 1780,0 |
| გრანტები | 8764,5 | 10653.2 | 4315.1 | 6338.1 | 6479.6 | 1273,2 | 5206,4 |
| სხვა შემოსავლები | 549,5 | 1229.9 | 0,0 | 1229.9 | 896,6 | 0,0 | 896,6 |
| ხარჯები | 6561,6 | 7839.7 | 770.0 | 7069.7 | 7220.9 | 0,0 | 7220,9 |
| შრომის ანაზღაურება | 750,1 | 1117.7 | 0,0 | 1117.7 | 1181.2 | 0,0 | 1181,2 |
| საქონელი და მომსახურება | 1252,1 | 688.5 | 0,0 | 688.5 | 584.4 | 0,0 | 584,4 |
| სუბსიდიები | 4247,8 | 3920.2 | 0,0 | 3920.2 | 4426.9 | 0,0 | 4426.9 |
| გრანტები | 0,0 | 524,5 | 0,0 | 524,5 | 391.5 | 0,0 | 391.5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 220,1 | 327.5 | 0,0 | 327.5 | 372.8 | 0,0 | 372.8 |
| სხვა ხარჯები | 91,5 | 1261.3 | 770.0 | 491.3 | 264.1 | 0,0 | 264.1 |
| საოპერაციო სალდო | 3279,5 | 4468.4 | 3545.1 | 923.3 | 1935,3 | 1273,2 | 662,1 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 1305,3 | 6074.2 | 4993.5 | 1080.7 | 1904,3 | 1273,2 | 631,1 |
| ზრდა | 1348,0 | 6129.2 | 4993.5 | 1135.7 | 1934,3 | 1273,2 | 661,1 |
| კლება | 42,7 | 55.0 | 0,0 | 55.0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| მთლიანი სალდო | 1974,2 | -1605.8 | -1448.4 | -157.4 | 31,0 | 0,0 | 31,0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1974,2 | -1985.8 | -1448.4 | -537.4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 1985,8 | 1448,4 | 537,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულების ცვლილება | 0,0 | -380,0 | 0,0 | -380,0 | -31,0 | 0,0 | -31,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 380,0 | 0,0 | 380,0 | 31,0 | 0,0 | 31,0 |
| ბალანსი | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 | 0,000 |

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

**განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:**

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლებ |
| **შემოსულობები** | 9883,8 | 12363.1 | 4315.1 | 8048.0 | 9186.2 | 1273,2 | 7913.0 |
| შემოსავლები | 9841,1 | 12308.1 | 4315.1 | 7993.0 | 9156.2 | 1273,2 | 7883.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 42,7 | 55.0 | 0,0 | 55.0 | 30,0 | 1273,2 | 30,0 |
| **გადასახდელები** | 7909,6 | 14348.9 | 5763.5 | 8585.4 | 9186,2 | 1273,2 | 7913,0 |
| ხარჯები | 6561,6 | 7839.7 | 770.0 | 7069.7 | 7220.9 | 0,0 | 7220.9 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 1348,0 | 6129.2 | 4993.5 | 1135.7 | 1934,3 | 1273,2 | 661,1 |
| ვალდებულებების კლება | 0,0 | 380,0 | 0,0 | 380,0 | 31,0 | 0,0 | 31,0 |
| **ნაშთის ცვლილება** | 1974,2 | -1985,8 | -1448,4 | -537,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

**განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 9156.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:**

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9841,1 | 12308.1 | 4315.1 | 7993.0 | 9156.2 | 1273,2 | 7883.0 |
| გადასახადები | 527,1 | 425.0 | 0.0 | 425,0 | 1780,0 | 0,0 | 1780,0 |
| გრანტები | 8764,5 | 10653.2 | 4315.1 | 6338,1 | 6479,6 | 1273,2 | 5206,4 |
| სხვა შემოსავლები | 549,5 | 1229.9 | 0,0 | 1229.9 | 896.6 | 0,0 | 896.6 |

## მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბიუჯეტის გადასახადები 400,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | 527,1 | 425,0 | 0,0 | 425,0 | 400,0 | 0,0 | 400,0 |
| ქონების გადასახადი | 527,1 | 425,0 | 0,0 | 425,0 | 400,0 | 0,0 | 400,0 |
| სხვა გადასახადები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბიუჯეტის გრანტები 6479,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლებ ი |
| **გრანტები** | **8764,5** | **10653.2** | **4315.1** | **6338,1** | **6479,6** | **1273,2** | **5206,4** |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | **8764,5** | **10653.2** | **4315.1** | **6338,1** | **6479,6** | **1273,2** | **5206,4** |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | **5856,1** | **6338,1** | **0,0** | **6338,1** | **5206,4** | **0,0** | **5206,4** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 5795,3 | 6252,1 | 0,0 | 6252,1 | 5120,4 | 0,0 | 5120,4 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 60,8 | 86,0 | 0,0 | 86,0 | 86,0 | 0,0 | 86,0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | **2908,4** | **4315.1** | **4315.1** | **0,0** | **1273,2** | **1273,2** | **0,0** |

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 896,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **სხვა შემოსავლები** | 549,5 | 1229.9 | 0,0 | 1229.9 | 896,6 | 0,0 | 896,6 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 105,9 | 534.4 | 0,0 | 534.4 | 412.6 | 0,0 | 412.6 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 240,9 | 475,5 | 0,0 | 475,5 | 274,0 | 0,0 | 274,0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 200,0 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 200.0 | 0,0 | 200.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 2,7 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 7220,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | 6561,6 | 7839.7 | 770.0 | 7069.7 | 7220,9 | 0,0 | 7220,9 |
| შრომის ანაზღაურება | 750,1 | 1117.7 | 0.0 | 1117.7 | 1181,2 | 0,0 | 1181,2 |
| საქონელი და მომსახურება | 1252,1 | 688.5 | 0.0 | 688.5 | 584,4 | 0,0 | 584,4 |
| სუბსიდიები | 4247,8 | 3920.2 | 0.0 | 3920.2 | 4426.9 | 0,0 | 4426.9 |
| გრანტები | 0,0 | 524.5 | 0.0 | 524.5 | 391.5 | 0,0 | 391.5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 220,1 | 327.5 | 0.0 | 327.5 | 372,8 | 0,0 | 372,8 |
| სხვა ხარჯები | 91,5 | 1261.3 | 770.0 | 491.3 | 264.1 | 0,0 | 264.1 |

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1904,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
1. განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1934,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 30,0 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | 1305.3 | 6074.2 | 4993.5 | 1080.7 | 1904,3 | 1273,2 | 631,1 |
| ზრდა | 1348.0 | 6129.2 | 4993.5 | 1135.7 | 1934,3 | 1273,2 | 661,1 |
| კლება | 42.7 | 55.0 | 0,0 | 55.0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1523,0 | 1818.0 | 0,0 | 1818.0 | 1767,9 | 0,0 | 1767,9 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1010,4 | 1803.6 | 0,0 | 1803.6 | 1753.0 | 0,0 | 1753.0 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 964,4 | 1662.6 | 0.0 | 1662.6 | 1595,0 | 0.0 | 1595,0 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 46,0 | 141.0 | 0,0 | 141,0 | 158,0 | 0,0 | 158,0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 503,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის | 9,5 | 14,4 | 0,0 | 14,4 | 14.9 | 0,0 | 14.9 |
| 702 | თავდაცვა | 40,5 | 61,8 | 0,0 | 61,8 | 61,8 | 0,0 | 61,8 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 185,1 | 191,1 | 0,0 | 191,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | სახანძრო-სამაშველო სამსახური | 185,1 | 191,1 | 0,0 | 191,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1687,8 | 6027.3 | 5012.0 | 1015.3 | 2030,8 | 1273,2 | 757.6 |
| 7045 | ტრანსპორტი | 0,0 | 1392.8 | 1039.2 | 353.6 | 223,0 | 0,0 | 223,0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 0,0 | 1392.8 | 1039.2 | 353.6 | 223,0 | 0,0 | 223,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 1687,8 | 4634.5 | 3972.8 | 661.7 | 1807,8 | 1273,2 | 534.6 |
| 705 | გარემოს დაცვა | 555,2 | 675.6 | 0,0 | 675.6 | 676,2 | 0,0 | 676,2 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 555,2 | 675.6 | 0,0 | 675.6 | 676,2 | 0,0 | 676,2 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 269,9 | 1350.7 | 751.5 | 599.2 | 355,2 | 0,0 | 355,2 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 1043.1 | 751.5 | 291.6 | 46,4 | 0,0 | 46,4 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 269,9 | 307.6 | 0,0 | 307.6 | 308,8 | 0,0 | 308,8 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 24,2 | 29.5 | 0,0 | 29.5 | 24,2 | 0,0 | 24,2 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 24,2 | 29.5 | 0,0 | 29.5 | 24,2 | 0,0 | 24,2 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 2419,5 | 2465.7 | 0,0 | 2465.7 | 2769.8 | 0,0 | 2769.8 |

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 943,3 | 980.3 | 0,0 | 980.3 | 1054,5 | 0,0 | 1054,5 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1394,2 | 1412.3 | 0,0 | 1412.3 | 1660.3 | 0,0 | 1660.3 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 82,0 | 73,1 | 0,0 | 73,1 | 55,0 | 0,0 | 55,0 |
| 709 | განათლება | 879,9 | 958.7 | 0,0 | 958.7 | 990,2 | 0,0 | 990,2 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 742,7 | 905,5 | 0,0 | 905,5 | 970.2 | 0,0 | 970.2 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 12,9 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| 70923 | საშუალაო ზოგადი განათლება | 12,9 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| 7098 | სხვა არაკლსიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 124,3 | 43.2 | 0,0 | 43.2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 324,7 | 390.5 | 0,0 | 390.5 | 461.6 | 0,0 | 461.6 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 0,6 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 0,2 | 0,9 | 0,0 | 0,9 | 0.3 | 0,0 | 0.3 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 19,9 | 23,0 | 0,0 | 23,0 | 23,0 | 0,0 | 23,0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 196,0 | 274.8 | 0.0 | 274.8 | 273,1 | 0.0 | 273,1 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალურ სფეროში | 108,0 | 90.8 | 0.0 | 90.8 | 164.2 | 0.0 | 164.2 |
| | სულ | 7909,6 | 13968.9 | 5763.5 | 8205.4 | 9137.7 | 1273.2 | 7864,5 |

**მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 158.0 ათ. ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მერის-გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობასა და მიზნობრიობის შესახებ.

**მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 86.0 ათ. ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 24,2ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61.8 ათ. ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II
## ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
## პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

**მუხლი 13.თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**
**(პროგრამული კოდი 02 00)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**13.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**
**(პროგრამული კოდი 02 02)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**
**(პროგრამული კოდი 03 00)**

ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**14.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**
**(პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის გზების მნიშვნელოვანი ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსდება გზების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. აგრეთვე, განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის შენარჩუნება.

**14.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**
**(პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან

დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები.

**14.3. დასუფთავების ღონისძიებები**
**(პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

გაგრძელდება ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმა, ქალაქის ქუჩების მორწყვა და მორეცხვა.

**14.4. ბინათმშენებლობა**
**(პროგრამული კოდი 03 02 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას, მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ტექნიკური მდგომარეობის დასკვნის საფუძველზე მოხდება საცხოვრებელი სახლების აღდგენა რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება.

პროგრამა ასევე, ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას (სახურავების გადახურვა, ფასადების მოწესრიგება, შიდა წყალკანალიზაციის შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოები), რომლის დაფინანსება მოხდება საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**14.5. კომუნალური მომსახურების ღონისძიებები**
**(პროგრამული კოდი 03 02 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

**14.6. კეთილმოწყობის სამუშაოები**
**(პროგრამული კოდი 03 02 02)**

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაზიანებული საქალაქო ინფრასტუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია. ქალაქის მასშტაბით ნაპირდამცავი სამუშაოების, მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (სკვერები, ეზოები, სპორტული მოედნები) მოვლა-შენახვა, ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობა.

**მუხლი 15. განათლება**
**(პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე, სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

**15.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება**
**(პროგრამული კოდი 04 01)**

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის მიზანია სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა (კვებით, ინფრასტრუქტურით).

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები, ბავშვთა კვება და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები.

**15.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა**
**(პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება, თანამონაწილეობა სასწავლო დაწესებულებების მიერ ინიცირებულ შემოქმედებით, სპორტულ, ტექნიკურ, ეკოლოგიურ, ინტელექტუალურ და სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამების განხორციელებას.

**მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას დაშესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

**16.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა**
**(პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება. აგრეთვე, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; ასევე, განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

**16.1.2. სპორტული ობიექტების დაფინასება**
**(პროგრამული კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ი.პ. ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპირტის განვითარების ცენტრი‘‘;
- ა.(ა).ი.პ.,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთოო კლუბი-მერცხალი‘‘;
- ა.(ა).ი.პ. ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების კავშირი‘‘.

**16.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა**
**(პროგრამული კოდი 05 02)**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის: ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ღონისძიებების ჩატარება, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

**16.2.1. კულტურის ღონისძიებების დაფინანსება**
**(პროგრამულიკოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

**16.2.2. კულტურის ობიექტების დაფინანსება**
**(პროგრამული კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.(ა).ი.პ.,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი‘‘;
- ა.(ა).ი.პ.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა‘‘;
- ა.(ა).ი.პ. ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი‘‘;
- ა.(ა).ი.პ.,,მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი;
- ა.(ა).ი.პ.,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკი‘‘;
- ა.(ა).ი.პ.,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართულ-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსაბლი-გურია‘‘;
- ა.(ა).ი.პ.,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა‘‘;
- ა.(ა).ი.პ.,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრიგოლ კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლა‘‘;
- ა.(ა).ი.პ.,,თვითმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი‘‘.

ასევე, პროგრამით დაფინანსდება:

- სსიპ,,ქალაქ ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი‘‘;
- სსიპ ,,ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი‘‘.

**16.3. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**
**(პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემოქმედის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა (კომუნალური გადასახადებით), ტაძრების, ეკლესია-მოსატრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსება.

**მუხლი 17.მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**
**(პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის დახმარება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. პრიორიტეტი თვალისწინებს

პროგრამებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, მრავალშვილიანი ოჯახების დაცვა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება, უფასო კვება, კომუნალური სუბსიდირება, ვეტერანთა დახმარება, ლტოლვილთა, ხანდაზმულთა დახმარება.

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

### 17.1. სოციალური პროგრამები
**(პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში მოხდება შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარება, უსახლკარო მოქალაქეთა დახმარება, მზრუნველობა მოკლებულთა დახმარება უფასო კვებით, კომუნალური სუბსიდირება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### 17.2.1. შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა
**(პროგრამულიკოდი 06 02 04 01)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარების და მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას, რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 57001- 150001-მდე სარეიტინგო ქულით გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით. აგრეთვე, შეჭირვებულ მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველ ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 150001-მდე ქულით, სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წილობრივი გადასახდელი თანხიდან, გაეწევათ დახმარება:

ა) 0-დან 500 ლარამდე - 70% დაფინანსებით წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე,

ბ) 501 ლარიდან - 1500 ლარამდე -- 400 ლარის ოდენობით,

გ) 1501 ლარიდან ზემოთ - 500 ლარის ოდენობით.

### 17.2.2. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა
**(პროგრამულიკოდი 06 0204 02)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ, ხოლო პერიტონალურ შემთხვევაში (ტრანსპორტირების თანხა ბენეფიციარზე) ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარის ოდენობით.

### 17.2.3. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარება
**(პროგრამული კოდი 06 0204 03)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უსინათლო (მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის სტატუსის მქონე) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით.

### 17.2.4 . განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა
**(პროგრამული კოდი 06 02 04 04)**

პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მყოფ განსაკუთრებულ საჭიროების მქონე მოქალაქეებს გაეწიოს სოციალური დახმარება 200 ლარის ოდენობით.

აგრეთვე, პროგრამა ითვალისწინებს სუბსიდირებას საქველმოქმედო ასოციაცია „გურია"-ს დღის ცენტრში 18 წელს გადაცილებული ბენეფიციართა მომსახურების დასაფინანსებლად. მათშორის:

- ბენეფიციართა ყოველდღიური უზრუნველყოფა 2-ჯერადი კვებით;
- ბენეფიციართა სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, პროფესიული და სხვა ტიპის უნარ-ჩვევების განვითარება;
- სარეაბილიტაციო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ხარჯები;
- კომუნალური მომსახურების ხარჯები.

### 17.2.5. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა
**(პროგრამული კოდი 06 02 04 05)**

პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეებს დაეხმაროს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, ხელი შეუწყოს ქალების მეტ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ძალადობის მსხვერპლ ქალებს გაეწევა პროფესიული დახმარება გადატანილი ფსიქოლოგიური ტრამვებისა და კრიზისის დაძლევაში, ჩატარდება სკრინინგ ჯგუფის მიერ გამოკვლევები.

### 17.2.6. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა
**(პროგრამულიკოდი 06 02 15 01)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეების დახმარება თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

### 17.2.7. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა
**(პროგრამულიკოდი 06 02 15 02)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებშიმ ცხოვრები ოჯახების დახმარება, მინიმალური საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

### 17.2.8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა
**(პროგრამული კოდი 06 02 15 03)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს:

- კომუნალური გადასახადებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დახმარებას. დახმარება გაიცემა ერთჯერადად თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებულ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯების ასანაზღაურებლად, გარდაცვლილის ოჯახს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით;
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების, როგორც დაფინასება, ასევე თანაგადახდა 300 ლარის ოდენობით ფორმა 100--ისა ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

### 17.2.9. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება
**(პროგრამულიკოდი 06 02 15 04)**

პროგრამის მიზანია უკიდურესად შეჭირვებული ბენეფიციარების თანადაფინანსება:

ა) სანიტარულ-ჰიგიენური ხარჯები;

ბ) კომუნალური ხარჯები;

გ) კავშირგაბმულობის ხარჯები;

დ) შენობის დაცვისა და იჯარის ხარჯები;

ე) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების ხარჯები;

ვ) საკანცელარიო საქონლისა და საოფისე ინვენტარის შეძენის ხარჯები.

### 17.2.10. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა
**(პროგრამული კოდი 06 02 15 05)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების მიზნით მათი ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა.

### 17.2.11. ვეტერანთა დახმარების პროგრამა
**(პროგრამული კოდი 06 0215 06)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა და მათი ოჯახების ფინანსური დახმარება.

- 1941-1945 წწ. 9 მაისს -ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს, მეორე მსოფლიო ომის თითოეულ ვეტერანზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით.
- 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, თითოეულ დაღუპულის ოჯახზე 100 ლარის ოდენობით.
- 1992-1993 წწ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის დღეს 27 სექტემბერს ერთჯერადი დახმარება, თითოეულ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით.

### 17.2.12. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა
**(პროგრამული კოდი 06 02 15 07)**

პროგრამის მიზანია ხანდაზმულთა თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარების მომსახურების სუბსიდირება. კერძოდ, ქალაქ ოზურგეთში, მეცნიერების ქ. №16-ში მდებარე ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადების დაფინანსება.

### 17.2.13. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა
**(პროგრამული კოდი 06 0216 01)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურდ შეჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება, რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-დან 150001-მდეა, ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე შვილი ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიეცემათ 25 ლარი, ხოლო ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 57001-მდე, წელიწადში 3-ჯერ (ახალიწელი, აღდგომა, სასწავლო წელი) გაეწევათ დახმარება 100 ლარის ოდენობით.

**17.2.14. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 16 02)**

პროგრამის მიზანია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით.

**17.2.15. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 0217)**

პროგრამით გათვალისწინებულია ომის ვეტერანების სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება 250 ლარის ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე.

**17.2.16. „C" ჰეპატიტიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება**

